



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი: ო87.8721365001

თარიღი: 31/12/2021

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის
ოქმი № 17**

ქ. ახმეტა 29 დეკემბერი, 2021 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იოსები ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ს ს დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: შ.ხოხობაშვილი, გ.ქიბროწაშვილი, გ.ბართიშვილი,

თ.ყვინიშვილი, თ.ბორჩაშვილი, ხ.იჩუაიძე,

გ.შაშიაშვილი, კ.მამულაშვილი, ზ.უძილაური,

ე.ბაღაკაშვილი, ბ.კაიშვილი, ზ.ფიცხელაური,

გ.მამუჩარაშვილი, რ.გახუაშვილი, დ.ავაზაშვილი,

თ.მოზაიძე, გ.უძილაური, ფ.შიომღვდლიშვილი,

ს.ბაბულაიძე, ე.ფეტვიაშვილი.

სხდომა გაიხსნა 12⁰⁰ საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ ქარუმაშვილმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის 2018-2022 წლებისათვის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ილია გუმაშვილი/

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

- ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების შესახებ;

/მომხსენებელი - დავით შაშიაშვილი/

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მიღებას.

სხდომა ესწრება - 21 წევრი

მომხრე - 17

მონაწილეობა არ მიიღო - 4 (ს.ბაბულაიძე, ე.ფეტვიაშვილი, გ.უძილაური, ფ.შიომღვდლიშვილი.)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის 2018-2022 წლებისათვის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ილია გუმაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

შეტანილ იქნას ცვლილება „ახმეტის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის 2018-2022 წლებისათვის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N79 განკარგულებაში და დამტკიცებული გეგმის „ნაწილი 6 - სამოქმედო გეგმა და განხორციელების ვადები“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.

სხდომას ესწრება 21 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 17

მონაწილეობა არ მიიღო - 4 (ს.ბაბულაიძე, ე.ფეტვიაშვილი, გ.უძილაური, ფ.შიომღვდლიშვილი)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №50 „ახმეტის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის 2018-2022 წლებისათვის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი

საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება თანდართული დანართის შესაბამისად.

აზრი გამოთქვა: თინათინ მოზაიძემ, რომ პირველი მაისის ქუჩა, სასაფლაოსთან მისასვლელი გზა არის ძალიან ცუდ მდგომარეობაში და იქნებ გაითვალისწინოთ, მოხდეს აღნიშნული გზის რეაბილიტაცია, რაზეც იოსებ ქარუმაშვილმა უპასუხა, რომ აღნიშნული საკითხი აუცილებლად იქნება დაყენებული შესაბამის ორგანოებთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.

სხდომას ესწრება 21 წევრი.

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო -5 (ს.ბაბულაიძე, ე.ფეტვიაშვილი, გ.უძილაური, ფ.შიომღვდლიშვილი, თ.მოზაიძე)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 51 საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დამკვეთის შესახებ;

/მომხსენებელი - დავით შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი:

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე დამკვეთს იქნეს გამონაკლისი და ამ კატეგორიის საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა განისაზღვროს 5 (ხუთი) ერთეულით:

- ა) საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი - 1;
- ბ) საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე - 2;
- გ) საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი - 1;
- დ) საკრებულოს თავმჯდომარის მდივანი - 1.

თინათინ მოზაიძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად არ მიმაჩნია საკრებულოს თავმჯდომარეს ყავდეს ორი თანაშემწე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.

სხდომას ესწრება 21 წევრი.

მომხრე - 16

მონაწილეობა არ მიიღო - 5 (ს.ბაბულაიძე, ე.ფეტვიაშვილი, გ.უძილაური, ფ.შიომღვდლიშვილი, თ.მოზაიძე)

ანშეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №: 52 ანშეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების შესახებ;

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12:55 საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ანშეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

